



საქართველოში ნებაყოფლობით დაბრუნება და სამედიცინო რეინტეგრაცია

ფიქრობთ საქართველოში
დაბრუნებას?

განუხებთ ჯანმრთელობის
მდგომარეობა, რომელის
საჭიროებს სპეციფიკურ
მკურნალობას?

სამედიცინო პრობლემების მქონე პირთა დაბრუნებაში დახმარება

სამედიცინო პრობლემების მქონე პირთა მგზავრობა მოითხოვს სპეციალურ მხარდაჭერას და შესაბამის მომზადებას.

თქვენი ექიმის რჩევისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ:

- IOM– ის სამედიცინო პერსონალის მიერ თქვენი პირადი მდგომარეობის შეფასება და მკურნალობის გეგმის შემუშავება საქართველოში;
- ფინანსური დახმარება საქართველოში სამედიცინო ხარჯების დასაფარად დაბრუნებიდან **6 თვის განმავლობაში**;
- თქვენს საჭიროებებზე მორგებული დახმარება აეროპორტებში საფრანგეთიდან გამგზავრების, ტრანზიტის ან / და საქართველოში ჩასვლის დროს;
- საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო და / ან ოპერატიული ესკორტის უზრუნველყოფა საფრანგეთში თქვენი საცხოვრებელი ადგილიდან საქართველოში დანიშნულების ადგილზე მისვლამდე.

ი

საჭიროების შემთხვევაში IOM ასევე უზრუნველყოფს თქვენი ოჯახის უახლოესი წევრების მგზავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ და ფინანსურ საკითხებს.

ი

თქვენ და თქვენს ოჯახს ასევე შეგიძლიათ ისარგებლოთ, ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამით (გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში), რომელსაც ახორციელებს საქართველოში არსებული OFII (<http://www.retourvolontaire.fr/>).

როგორ მივიღოთ დახმარება?

დაუკავშირდით OFII- ს ან IOM- ს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და გასარკვევად: შეგიძლიათ თუ არა ისარგებლოთ ამ პროგრამით.

თქვენს კითხვებს უპასუხებს IOM-ის ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და სამედიცინო რეინტეგრაციის პროგრამის ორენოვანი (ფრანგულ-ქართული) კონსულტანტი შემდეგ ნომერზე:



დახმარების სატელეფონო ხაზი ფუნქციონირებს ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს 10:00-12:00 და 14:00-16:00

ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ელ.ფოსტით შემდეგ მისამართზე: MAVRFrance@iom.int

მნიშვნელოვანი ინფორმაცია!

IOM– ის მიერ გაწეული დახმარება არის უფასო.

ყველა საუბარი თქვენი დაბრუნების გეგმაზე მიმდინარეობს კონფიდენციალურობის წესების მკაცრი დაცვით.

გადაწყვეტილების შეცვლა შეგიძლიათ ნებისმიერ დროს.





OFII

OFFICE FRANÇAIS DE L'IMMIGRATION
ET DE L'INTÉGRATION



ვინ ვართ ჩვენ?

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნაწილი და 70 წელზე მეტია, მხარს უჭერს მიგრანტებს მთელს მსოფლიოში. მისი მთავარი ოფისი მდებარეობს უენევაში, შვეიცარია. მისი არსებობის წყალობით, 170-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთსა და საქართველოში, IOM ხელს უწყობს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას მიგრაციის კუთხით და მუშაობს ადამიანის ღირსების და მიგრანტების კეთილდღეობის დასაცავად.


დაგვიკავშირდით :

საფრანგეთის IOM - პარიზის ოფისი

 06 16 08 63 69

 MAVRFrance@iom.int

 <https://france.iom.int/>

 პარიზის ოფისში მისვლა ხდება მხოლოდ წინასწარი ჩანერით.

OFII

 <http://www.retourvolontaire.fr/>

საქართველოში ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და სამედიცინო რეინტეგრაციის პროგრამა ფინანსდება საფრანგეთის იმიგრაციისა და ინტეგრაციის ოფისის მიერ.